ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1925780

ნომერი: AR1313596

თარიღი : 28.05.2015

გაცემის თარიღი : 01.06.2015

გაცნობის თარიღი : 01.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლია კეიდია პ/ნ 01008022975
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 80ბ

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N11/გრიშაშვილის ქ. N11–ის მიმდებარედ კარის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟის მიხედვით ეწყობა კიბეც, რაც ასახული უნდა იყოს მოთხოვნის ტექსტში;
2. არ არის წარმოდგენილი გენგეგმა საკადასტრო საზღვრებისა (წითელი ხაზები) და საპროექტო კიბის ჩვენებით; კარის მოწყობის არეალის მონიშვნით;
3. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო კიბე სცდება საკადასტრო საზღვრებს, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ და მესაკუთრის/მესაკუთრეების თანხმობა კიბის მოწყობასთან დაკავშირებით;
4. არ არის წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, ან მინდობილობა განმცხადებლის სახელზე (დამოწმებული შესაბამისი წესით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.